# ხელშეკრულება №22

ხელშეკრულების დადების ადგილი: სოფ დღვანი

ხელშეკრულების დადების თარიღი 01 ოქტომბერი 2014წ.

## სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

**„შემსყიდველი"** სსიპ დღვანის საჯარო სკოლის დირექტორისმ/შ გულნაზი ფუტკარაძის სახით:

მისამართი: შუახევის მუნიციპალიტეტი სოფელი დღვანი.

საბანკო რეკვიზიტები: ბანკის დასახელება ლიბერთი ბანკის შუახევის ფილიალი. ბანკის კოდი 220101445.

სკოლის ანგარიშის ნომერი: GE68LB0121110049408000. საინდენტიფიკაციო კოდი:247868240

**„მიმწოდებელი"** შ.პ.ს „ ლიდერი „ მისამართი: ხულოს რაიონი სოფ განახლება

საბანკო რეკვიზიტები: ს.ს საქართველოს ბანკი ბ/ფ;ბანკის კოდBAGAGE22; მიმწოდებლის ანგარიშის ნომერი: GE68BG0000000614452100; საინდენტიფიკაციო კოდი 448048247

ერთი მხრივ- შემსყიდველი და მეორეს მხრივ მიმწოდებელი, ადასტურებენ, რომ მათ შორის მიღწეულია შეთანხმება შემდეგზე:

### 1. ხელშეკრულების საგან

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე „მიმწოდებელი" თანახმაა უზრუნველყოს „შემსყიდველისათვის"—მეტალო პლასტმასის ფანჯრები, საამშენებლო ქვა და სხვა საამშენებლო მასალების მიწოდება, 250კვ.მ კედლის შებათქაშება შეღებვა. ხოლო „შემსყიდველი" კისრულობს ვალდებულებას მიიღოს მოთხოვნილი საქონელი და გადაიხადოს მისი ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით.

1.2. მთლიანი სახელშეკრულებო თანხა შეადგენს 3000(სამიათასი)ლარი.

1.3.შესყიდვის ობიექტის რაოდენობა ერთეულის ფასი, მთლიანი თანხა და გადახდის გრაფიკი განისაზღვრება ფორმა №3 მიხედვით, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

1.4 ხელშეკრულების 1.2 პუნქტში მითითებული შესყიდვების ობიექტის მთლიანი სახელშეკრულებო ღირებულება წარმოადგენს საორიენტაციო თანხას.

### 2. საქონლის მიღება-ჩაბარება

2.1. საქონელი მიღებულად ჩაითვლება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

2.2 მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის,რომელსაც ხელს აწერენ საამისოდ უფლებამოსილი პირები .

2.3. მიღებული საქონლის საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექ ტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს „მიმწოდებელი".

### 3. გარანტია

3.1. მიმწოდებელის მიერ ამ ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს თვითონ მიიღოს ზომები მიღებული საქონლის ხარვეზების გამოსწორებისთვის და მოთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება ან გამოქვითოს ეს თანხა ხელშეკრულების მიხედვით მიმწოდებლისათვის გადასახდელი თანხიდან.

### 4. ანგარიშსწორება

4.1 ანგარიშწორების ფორმა: უნაღდო
4.2 ანგარიშწორების ვალუტა: ქართული ლარი

### 5. ხალშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1 შემყიდველს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი. შემსყიდველმა წერილობითი სახით და თავისდროულად უნდა აცნობოს მიმწოდებელს ამ მიზნებისთვის განკუთვნილი თავისი წარმომადგენლის შესახებ.

### 6. ფორს-მაჟორი

6.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების

...ყიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა ...ფორს-მაჟორული გარემოებების შედეგი.

6.2 ამ მუხლის მიზნებისათვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი ...ნტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და ან ...ემსრულებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან.

6.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყონებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

7. სადაო საკითხების გადაწყვეტა

7.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა.

7.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 20 დღის განმავლობაში შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ვერ შეძლეს სადაო საკითხების შეთანხმების მოგვარება ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

8. შეტყობინება

8.1. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე ხელშეკრულების შესაბამისად უგზავნის მეორე მხარეს გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ფაქსის სახით ორიგინალის შემდგომი წარდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

7.2. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს, ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენის დღეს იმის მიხედვით თუ ამ თარიღიდან რომელი უფრო გვიან დგება.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებამდე ანუ 31,12,2014წლამდე.

10. სხვა პირობები

10.1. მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, ბაჟების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე.

10.2. ხელშეკრულებაში დამატებების ან/და ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

10.3 ორივე მხარე უფლებამოსილია მოშალოს ეს ხელშეკრულება ცალმხრივად, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავის ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას ან სხვა მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვაში.

10.4. ხელშეკრულება შესრულებულია და ხელმოწერილია ორ ეგზემპლიარად. ორივე ეგზემპლარი ინახება ხელშეკრულების მონაწილეებთან და აქვთ თანაბარი იურიდიული ძალა.

| შემსყიდველის მხრიდან | მომწოდებლის მხრიდან |
|---|---|
| სსიპ დღვანის საჯარო სკოლის | მიმწოდებლის დასახელება: შ.პ.ს ლიდერი |
| დირექტორის მ/შ: გულნაზ ფუტკარაძე | მინდობილი პირი შერმანდინ ბოლქვაძე |
| ხელწერა:------------------------ | ხელწერა:------------------------ |

GEORGIA LEPL SHUAKHEVI MUNICIPALITY VILLAGE DGHVANI PUBLIC SCHOOL 247668240